

შპს „ბიზონი“,

ფინანსური ანგარიშგება  
2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

# შინაარსი:

## ფინანსური ანგარიშგება

|                                            |   |
|--------------------------------------------|---|
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება         | 3 |
| საქმიანობის შედეგების ანგარიშგება          | 4 |
| საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება | 5 |

|                               |      |
|-------------------------------|------|
| ახსნა-განმარტებითი შენიშვნები | 6-18 |
|-------------------------------|------|

შპს "ბიზონი"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

|                                            | შენიშვნა | 2019           | 2018           |
|--------------------------------------------|----------|----------------|----------------|
| <b>აქტივები</b>                            |          |                |                |
| ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები | 3        | 52229          | 37895          |
| სავაჭრო დებიტორული დავალიანებები           | 4        | 251903         | 362778         |
| წინასწარ გადახდილი გადასახადები            |          | 2817           | 13239          |
| სხვა აქტივები                              |          | 88536          | 134792         |
| ძირითადი საშუალებები                       | 6        | 1681167        | 1738657        |
| არამატერიალური აქტივები                    | 7        | 931            | 1363           |
| <b>სულ აქტივები</b>                        |          | <b>2077582</b> | <b>2288734</b> |
| <b>ვალდებულებები</b>                       |          | -              | -              |
| სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები | 8        | 1883508        | 2155762        |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                   |          | <b>1883508</b> | <b>2188762</b> |
| საწესდებო კაპიტალი                         |          | 0              | 0              |
| გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)  |          | 194074         | 132972         |
| <b>სულ კაპიტალი</b>                        |          | <b>194074</b>  | <b>132972</b>  |
| <b>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</b>       |          | <b>2077582</b> | <b>2288734</b> |

## შპს "ბიზონი"

მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2019 წლის დასრულებული წლისათვის (ლარში)

|                                 | შენიშვნა  | 2019          |
|---------------------------------|-----------|---------------|
| ამონაგები                       | <u>9</u>  | 830738        |
| თვითღირებულება                  | <u>10</u> | (92514)       |
| <b>საერთო მოგება</b>            |           | <b>738224</b> |
| სხვა შემოსავლები                |           | 12119         |
| ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი | <u>11</u> | (527978)      |
| <b>საოპერაციო მოგება</b>        |           | <b>61102</b>  |
| ფინანსური შემოსავალი            | <u>12</u> | -             |
| წმინდა სავალუტო ზარალი/მოგება   |           | -             |
| <b>მოგება დაბეგვრამდე</b>       | -         | <b>61102</b>  |
| მოგების გადასახადი              |           | -             |
| <b>წმინდა მოგება</b>            | -         | <b>61102</b>  |
| <b>მთლიანი სრული შემოსავალი</b> | -         | <b>61102</b>  |

### 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ბიზონი“ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2015 წლის 22 იანვარს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 446960824. კომპანიის იურიდიული მისამართია ქ.ბათუმი დუმბაძის ქ.#5, ფაქტიური მისამართი ბათუმი ა.შანიძის 18. კომპანია დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებულია 2015 წლის 22-რი იანვრიდან.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ინერტული მასალების გადამამუშავება და წარმოებული ქვიშა ღორღის რეალიზაცია.

კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი და დირექტორია ნიაზ ხალვაში, 61005001300. კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენს 0 ლარს.

2019 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრისთვის კომპანიის თანამშრომლების რაოდენობა იყო 19 ადამიანი.

### 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

#### ტერმინების განმარტებები:

##### ფინანსური აქტივები

კომპანია განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას ქვემოთ განმარტებული ჯგუფების მიხედვით. კომპანია არ ფლობს დაფარვის ვადამდე ფლობილ ინვესტიციებს, გასაყიდად არსებულ ან რეალური ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებს მოგებაში ან ზარალში ასახვით. კომპანია ადგენს საკუთარი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის ტიპს თავდაპირველი აღიარებისას.

##### ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

##### სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული სესხები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

##### მარაგები

მარაგები საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები.

მარაგების თვითღირებულება გამოითვლება FIFO მეთოდით, საწყობების მიხედვით.

##### ძირითადი საშუალებები

###### ა) თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

#### ა) შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

#### ბ) ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით; ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით:

| ძირითადი საშუალების ჯგუფი | სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები) |
|---------------------------|--------------------------------------|
| კომპიუტერული ტექნიკა      | 5 წელი                               |

#### არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალურ აქტივებს წარმოადგენენ საადრიცხო პროგრამები (7 წლიანი სასარგებლო მომსახურების ვადით). არამატერიალური აქტივები თავდაპირველად აღიარებულია თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია ნებისმიერი დაგროვილი ამორტიზაციის და გაუფასურების ზარალის თანხით. არამატერიალური აქტივები ამორტიზდება წრფივი მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

#### აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივებისა გატესტვა გაუფასურებაზე, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება აქტივის საბალანსო ღირებულება, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

#### სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

#### გადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ როდესაც, არის კანონიერი უფლება, რომ აგრევირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

### **დაბეგრა**

საგადასახადო ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე გადასახადისგან. მიმდინარე გადასახადი ანგარიშდება წლის დასაბეგრი მოგებიდან. დასაბეგრი მოგება განსხვავდება მოგებისგან, რომელიც წარდგენილია სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, რადგან აღნიშნული არ მოიცავს ისეთ შემოსავლებსა და ხარჯებს, რომლებიც ამ პერიოდში არ არის დასაბეგრი ან გამოსაქვითი. კომპანიის მიმდინარე გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

### **შემოსავალი**

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. ეს კრიტერიუმები ჩაითვლება დაკმაყოფილებულად, როდესაც პროდუქცია გადაეცემა მყიდველს.

თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საექვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

### **ხარჯების აღიარება**

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან.

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

### **სახელფასო განაცემები**

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

### **საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები**

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის

ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

### ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

### შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

#### (ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

#### (ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

2019 წლის 31 დეკემბერს და 2018 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

#### საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

| პერიოდი                          | დოლარი | თურქული ლირა |
|----------------------------------|--------|--------------|
| კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის | 2,8677 |              |
| კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის | 2,6766 |              |

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

• ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები - ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

• **მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები** - კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მასზე. ხელმძღვანელობა წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს მოთხოვნების გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია ხელმძღვანელობის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.

• **სასამართლო დავები** - კომპანია ანარიცხს სასამართლო დავებთან დაკავშირებით აღიარებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ადგილი აქვს მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარსულში მომხდარი ქმედების შედეგია, მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიისგან და შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა. იქ, სადაც რომელიმე კრიტერიუმში არ კმაყოფილდება, პირობითი ვალდებულება შეიძლება იქნას გაშიფრული ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის განმარტებით შენიშვნებში. ნებისმიერი პირობითი ვალდებულების დადგომას, რომლის აღიარება ან გაშიფვრა ფინანსურ ინფორმაციაში ჯერ არ მომხდარა, შეიძლება ქონდეს არსებითი გავლენა ფინანსურ ინფორმაციაზე. აქედან გამომდინარე კომპანიის ხელმძღვანელობისგან აღნიშნული ფაქტი მოითხოვს მნიშვნელოვან შეფასებებს არსებულ თუ მომავალ სასამართლო დავებთან დაკავშირებით. კომპანია განიხილავს ყოველ მიმდინარე სასამართლო დავას და აფასებს მის შედეგებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის, რათა განსაზღვროს საჭიროა თუ არა შესაბამისი ანარიცხის შექმნა. შეფასების დროს გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: დავის ხასიათი, მომჩივანია თუ მოპასუხე, სასამართლო პროცესის მიმდინარეობა და პოტენციური ზარალის დონე, იურისტების მიმოხილვა და რჩევები, გამოცდილება მსგავსი შემთხვევებიდან და სხვა. 2019 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ ჰქონია მნიშვნელოვანი სასამართლო დავები.

#### 4. ძირითადი საშუალებები

|                                         | შენიშნა<br>-<br>ნაგებობ<br>ები | მანქანა-<br>დანადგარე<br>ბი | ავიჯი და<br>სხვა<br>ინვენტა<br>რი | სატრანსპორტ<br>ო<br>საშუალებები | კომპიუტერუ<br>ლი ტექნიკა | მიწა          | დაუმონტ<br>აჟებული<br>მოწყობი<br>ლებები | ჯამი           |
|-----------------------------------------|--------------------------------|-----------------------------|-----------------------------------|---------------------------------|--------------------------|---------------|-----------------------------------------|----------------|
| ლარში                                   |                                |                             |                                   |                                 |                          |               |                                         |                |
| <b>2018 წლის ბოლოს<br/>მდგომარეობით</b> | <b>248765</b>                  | <b>413301</b>               | <b>13378</b>                      | <b>701895</b>                   | <b>13102</b>             | <b>551656</b> | <b>11858</b>                            | <b>1953955</b> |
| შესყიდვა                                | -                              | 1314                        | 15436                             |                                 |                          |               | 52203                                   | 68953          |
| გასვლა                                  |                                |                             |                                   | 8075                            |                          |               |                                         | 8075           |
| გაუფასურება                             |                                | 10878                       |                                   |                                 |                          |               |                                         | 10878          |
| შიდა ჯგუფური რეკლასიფიკაცია             |                                |                             |                                   |                                 |                          |               |                                         | -              |

გადაფასების რეზერვი  
2019 წლის ბოლოს  
მდგომარეობით

|        |        |       |        |       |        |       |         |
|--------|--------|-------|--------|-------|--------|-------|---------|
| 248765 | 403737 | 28814 | 693820 | 13102 | 551656 | 64061 | 2003955 |
|--------|--------|-------|--------|-------|--------|-------|---------|

დაგროვილი ცვეთა

2018 წლის ბოლოს  
მდგომარეობით

|     |       |      |        |      |   |   |        |
|-----|-------|------|--------|------|---|---|--------|
| 336 | 32977 | 2655 | 176975 | 2357 | - | - | 215300 |
|-----|-------|------|--------|------|---|---|--------|

ცვეთის ხარჯი

|     |       |      |       |      |   |       |        |
|-----|-------|------|-------|------|---|-------|--------|
| 336 | 28044 | 5031 | 69977 | 2984 | - | 11758 | 118130 |
|-----|-------|------|-------|------|---|-------|--------|

გასული აქტივის დაგროვილი ცვეთა

|  |  |  |     |  |  |  |     |
|--|--|--|-----|--|--|--|-----|
|  |  |  | 237 |  |  |  | 237 |
|--|--|--|-----|--|--|--|-----|

2019 წლის ბოლოს  
მდგომარეობით

|     |       |      |        |      |   |       |        |
|-----|-------|------|--------|------|---|-------|--------|
| 672 | 61021 | 7686 | 247189 | 5351 | - | 11758 | 333677 |
|-----|-------|------|--------|------|---|-------|--------|

საბალანსო ღირებულება

2018 წლის ბოლოს

|        |        |       |        |       |        |       |         |
|--------|--------|-------|--------|-------|--------|-------|---------|
| 248429 | 380324 | 10724 | 424920 | 10746 | 551656 | 11858 | 1788657 |
|--------|--------|-------|--------|-------|--------|-------|---------|

2019 წლის ბოლოს

|        |        |       |        |      |        |       |         |
|--------|--------|-------|--------|------|--------|-------|---------|
| 248093 | 342716 | 21128 | 446631 | 7761 | 551656 | 52303 | 1670288 |
|--------|--------|-------|--------|------|--------|-------|---------|

## 5. არამატერიალური აქტივები

ლარი

| პროგრამები | ლიცენზიები | სხვა | ჯამი |
|------------|------------|------|------|
|------------|------------|------|------|

2018 წლის ბოლოს

|      |     |  |      |
|------|-----|--|------|
| 1713 | 229 |  | 1942 |
|------|-----|--|------|

შემოსავლა

გასვლა

2019 წლის ბოლოს

|      |     |   |      |
|------|-----|---|------|
| 1713 | 229 | - | 1942 |
|------|-----|---|------|

| პროგრამები | ლიცენზიები | სხვა | ჯამი |
|------------|------------|------|------|
|------------|------------|------|------|

დაგროვილი ამორტიზაცია

2018 წლის ბოლოს

|     |  |  |     |
|-----|--|--|-----|
| 579 |  |  | 579 |
|-----|--|--|-----|

პერიოდის ამორტიზაციის ხარჯი

|     |  |  |     |
|-----|--|--|-----|
| 432 |  |  | 432 |
|-----|--|--|-----|

გასულის დაგროვილი ამორტიზაცია

|  |  |  |   |
|--|--|--|---|
|  |  |  | - |
|--|--|--|---|

2019 წლის ბოლოს

|      |   |   |      |
|------|---|---|------|
| 1011 | - | - | 1011 |
|------|---|---|------|

| პროგრამები | ლიცენზიები | სხვა | ჯამი |
|------------|------------|------|------|
|------------|------------|------|------|

საბალანსო რირებულება

2018 წლის ბოლოს

|      |     |   |      |
|------|-----|---|------|
| 1134 | 229 | - | 1363 |
|------|-----|---|------|

2019 წლის ბოლოს

|     |     |   |     |
|-----|-----|---|-----|
| 702 | 229 | - | 931 |
|-----|-----|---|-----|

## 6. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2019 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| ლარში                    | 31/12/2019   | 31/12/2018   |
|--------------------------|--------------|--------------|
| ფული სალაროში            | 431          | 1468         |
| ფული საბანკო ანგარიშებზე | 51797        | 36427        |
|                          | <u>52228</u> | <u>37895</u> |

## 7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2019 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| ლარში                              | 31/12/2019    | 31/12/2018    |
|------------------------------------|---------------|---------------|
| სავაჭრო დებიტორული დავალიანებები   | 251903        | 362778        |
| საექვო ვალების ანარიცხების რეზერვი |               |               |
| სხვა მოთხოვნები                    |               |               |
|                                    | <u>251903</u> | <u>362778</u> |

## 8. მარაგები

მარაგები 2019 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| ლარში                  | 31/12/2019   | 31/12/2018    |
|------------------------|--------------|---------------|
| მზა პროდუქცია          | 8931         | 17614         |
| ნედლეული               | 78705        | 117178        |
| დაუმთავრებელი წარმოება |              |               |
| საქონელი               |              |               |
| სხვა მარაგები          |              |               |
|                        | <u>88536</u> | <u>134792</u> |

კომპანიის მარაგები დაგირავებულია ბანკის მიერ სრულად;

## 9. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები 2019 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| ლარში                   | 31/12/2019    | 31/12/2018    |
|-------------------------|---------------|---------------|
| სავაჭრო ვალდებულებები   | 401389        | 449137        |
| გადასახელი ხელფასები    | 276947        | 96295         |
| გადასახდელი პროცენტები  | -             | -             |
| გადასახდელი დივიდენდები | -             | -             |
| სხვა ვალდებულებები      | -             | -             |
|                         | <b>678336</b> | <b>545432</b> |

## 10. საინვესტიციო ქონება

| საინვესტიციო ქონება                             | 31/12/2019 | 31/12/2018 |
|-------------------------------------------------|------------|------------|
| რეალური ღირებულება 1.01.2019                    |            |            |
| მოგება/(ზარალი) რეალური ღირებულების ცვლილებიდან |            |            |
| რეალური ღირებულება 31.12.2019                   | -          | -          |
|                                                 | <b>-</b>   | <b>-</b>   |

## 11. სესხები

| ლარი                            | მოკლევადიანი |              | გრძელვადიანი |               |
|---------------------------------|--------------|--------------|--------------|---------------|
|                                 | 31/12/2019   | 31/12/2018   | 31/12/2019   | 31/12/2018    |
| ბანკის სესხები                  | 40676        | 52096        | 39596        | 424036        |
| დაკავშირებული მხარეების სესხები |              |              |              |               |
| ოვერდრაფტები                    |              |              |              |               |
| სულ სესხები                     | <b>40676</b> | <b>52096</b> | <b>39596</b> | <b>424036</b> |

## 12. ამონაგები

ამონაგები 2019 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| ლარი                      | 31/12/2019    | 31/12/2018     |
|---------------------------|---------------|----------------|
| მზა პროდუქციის რეალიზაცია | 798729        | 1184196        |
| ნედლეულის რეალიზაცია      | 1324          | 55543          |
| მომსახურების რეალიზაცია   | 30686         | 31880          |
|                           | <b>830739</b> | <b>1271619</b> |

## 13. თვითღირებულება

თვითღირებულება 2019 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარი

მზა პროდუქციის თვითღირებულება  
 ნედლეულის თვითღირებულება  
 მომსახურების თვითღირებულება

| 31/12/2019 | 31/12/2018 |
|------------|------------|
| 478183     | 725764     |
| 1063       | 70804      |
| -          | -          |
| 479246     | 796568     |

#### 14. მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები

მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები 2019 წლის მდგომარეობით  
 წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                                 | 31/12/2019 | 31/12/2018 |
|---------------------------------|------------|------------|
| სარეკლამო ხარჯები               | -          | -          |
| საწვავის ხარჯი                  | 24560      | 43400      |
| სატრანსპორტო მომსახურების ხარჯი | 36301      | 84773      |
| რეალიზაციის დანახარჯები         | -          | -          |
|                                 | 60864      | 127932     |

#### 15. სხვა ხარჯი

სხვა ხარჯები 2019 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| ლარი                                                   | 31/12/2019 | 31/12/2018 |
|--------------------------------------------------------|------------|------------|
| დებიტორული დავალიანების რეზერვის ხარჯი                 | 69913      | 32906      |
| მარაგების გაუფასურება                                  | -          | -          |
| დაზღვევის ხარჯი                                        | -          | -          |
| მზა პროდუქციის განადგურების ხარჯი                      | -          | -          |
| მოგების გადასახადის ხარჯი -<br>კანონმდებლობის თანახმად | -          | -          |
| ქონების გადასახადი                                     | 16861      | 48516      |
|                                                        | 86774      | 54180      |

#### 16. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი 2019 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| ლარი                       | 31/12/2019    | 31/12/2018    |
|----------------------------|---------------|---------------|
| შრომის ანაზღაურება         | 215453        | 126610        |
| ცვეთა და ამორტიზაცია       | 118367        | 98845         |
| საგადასახადო ხარჯი         | 21806         | 20326         |
| საკონსულტაციო ხარჯი        | 1479          | 12906         |
| რემონტის ხარჯი             | 36195         | 3533          |
| ბანკის მომსახურება         | 202           | 1044          |
| წარმომადგენლობითი ხარჯები  | -             | -             |
| იჯარის ხარჯი               | 6000          | 14709         |
| მივლინების ხარჯები         | -             | -             |
| სხვა ადმინისტრაციული ხარჯი | 127716        | 14816270552   |
| კომუნიკაციის ხარჯები       | 760           | 1038          |
|                            | <b>527978</b> | <b>349563</b> |

17. რეალიზებული მზა პროდუქციის თვითღირებულების კომპონენტები

|                     | 31/12/2019    |
|---------------------|---------------|
| პირდაპირი მასალები  | 324306        |
| შრომითი ანაზღაურება | 35705         |
| კომუნალურები        | 47932         |
| იჯარა               | -             |
| ცვეთა               | 28388         |
| დამხმარე მასალები   | 71240         |
| რემონტები           | -             |
| სხვა                |               |
|                     | <b>478183</b> |

18. ფინანსური ხარჯი

ფინანსური ხარჯი 2019 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| ლარი                                 | 31/12/2019   | 31/12/2018    |
|--------------------------------------|--------------|---------------|
| ბანკის სესხის პროცენტი               | 43135        | 73289         |
| დაკავშირებული მხარის სესხის პროცენტი | -            | -             |
| სხვა ფინანსური ხარჯები               | 42084        | 56639         |
|                                      | <b>85222</b> | <b>130567</b> |

## 19. პირობითი ვალდებულება

კომპანიას სასამართლოში შეტანილი აქვს სარჩელები, კომპანიას აქვს სასამართლო დავები იმ პირებთან ვისაც დარღვეული აქვთ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, ყველაზე მაღალი რაც შეიძლება მიიღოს კომპანიამ არის ამ პირებისადმი არსებული მოთხოვნების ნაშთები;

დირექტორი:

ნიაზ ხალვაში

